კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

UN WOMEN FUND FOR GENDER EQUALITY

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები

2015

შეხვედრა საქართველოს პარლამენტში

გასული წლის 13 ნოემბერს ფონდი „სოხუმის“ ორგანიზებით საქართველოს პარლამენტში ჩატარდა შეხვედრა, რომელზეც პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები შეხვდნენ ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკისა და ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წევრებს. საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა ისაუბრეს მიღწევებზე, არსებულ გამოწვევებზე. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტში პირველად ჩატარდა ამ მასშტაბის შეხვედრა საკრებულოს წევრებთან და ეს პრეცედენტი მეტად მნიშვნელოვანია.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები

ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის

აგვისტო
2015

ჟურნალის გამოცემას აფინანსებს
გაეროს ქალთა ორგანიზაციის
გენდერული თანასწორობის ფონდი
(UN WOMEN)

ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები,
შესაძლოა, არ გამოხატავდეს
დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

მისამართი:
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6
ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68
ელფოსტა: womansukhumi@gmail.com
ვებგვერდი: www.fsokhumi.ge
www.gac.fsokhumi.ge

პროექტის დირექტორი
ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
მერი გელაშვილი

რედაქტორი
ლალი შენგელია

კორესპონდენტები
ხათუნა გოგუა
მანანა ლეშკაშელი

დიზაინი
ლია კოსტავა

ოთხმხრივი მემორანდუმი - გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრის მთავარი შედეგი

29-30 ივნისს ბათუმში, სასტუმრო „ლეგასში“ ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის და ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრა გაიმართა, სულ 75 ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ საკრებულოს თავმჯდომარეები, მოადგილეები, ვიცე-მერები.

ეს იყო ფონდი „სოხუმის“ ორი პროექტის ორწლიანი მუშაობის შეჯამება. სწორედ ამ პროექტების ფარგლებში შეიქმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭო 4 ქალაქში. ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში - გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის მხარდაჭერით, ხოლო ბათუმში - აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

ფორუმი გახსნა ფონდის თავმჯდომარემ ალლა გამახარიამ, რომელმაც გენდერული საბჭოების საქმიანობაზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

2013 წლის 1 სექტემბრიდან 2016 წლის 1 სექტემბრამდე კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ ახორციელებს პროექტს „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“.

ეს არის პირველი რეგიონალური პროექტი, რომელიც დააფინანსა გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდმა. კოორდინაციას ახორციელებს გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოში.

გენდერული საკონსულტაციო საბჭო - ეს არის გაერთიანებული რესურსები, ახალი ცოდნა და უნარები, თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ურთიერთპასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

გენდერული საკონსულტაციო საბჭო - არის ადგილობრივი დონის ახალი ინსტიტუციური მექანიზმი, ახალი მოდელი ქართულ კონტექსტში.

შემდეგ სიტყვა გადაეცა დავით დვალს - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, რომელიც ამავე დროს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრია. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გენდერული საკითხები პრიორიტეტულია ქართული სახელმწიფოსათვის. მთავარი დემოკრატიული ღირებულებები - თანასწორობის დამკვიდრება, თანაბარუფლებიანობა საბჭოს მუშაობის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ამიტომაც ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლება ხელს შეუწყობს გენდერული საბჭოდან წამოსული ინიციატივების განხორციელებას.

სენაკის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ბადრი კალანდარიშვილმა განაცხადა, რომ იზიარებს სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ხედვას და მისი სახით საბჭოს საკრებულოში გენდერული საკითხების ლობისტი ჰყავს.

ღია მხარდაჭერა გამოუცხადეს გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს ქალაქ ბათუმის ვიცე-მერებმა ალექსანდრე მითაშვილმა და ბაგრატ მანველაძემ. მათი მოსაზრებით, გაერთიანებული შეხვედრა ახალი ურთიერთობების დასაწყისი იქნება, რაც მომავალში ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს.

სხდომას ესწრებოდა ოზურგეთის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე. შეხვედრამ აჩვენა, რომ ოზურგეთში განსაკუთრებით ეფექტური გამოდგა ადგილობრივი ხელისუფლებისა და გენდერული საბჭოს თანამშრომლობა.

პირველ დღეს დაწყებულმა ოფიციალურმა გაცნობამ პოზიტიური ფონი შექმნა მომდევნო დღისთვის, როცა ოთხივე გენდერული საბჭოს პრეზენტაციები გაიმართა - თავმჯდომარეებმა თავიანთ გამოსვლებში მიღწეულ შედეგებზე და სამომავლო გეგმებზე გააკეთეს აქცენტი.

ოზურგეთი

შედეგებიდან გამომდინარე, ყველაზე მეტი სათქმელი ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ლელა ნაცვალაძეს დაუგროვდა. ერთი დამთავრებული, ორი მიმდინარე, ერთიც მხარდაჭერილი პროექტი - ასეთია ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სტატისტიკა.

„ოზურგეთის საბჭო პირველი იყო, რომელმაც გენდერული საჭიროება პროექტში ასახა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერაც მოიპოვა. ახალგაზრდებზე გათვლილი ცხრათვიანი მუშაობა წარმატებული გამოდგა და მისი დასრულების შემდეგ ოზურგეთში უკვე არსებობს ახალგაზრდული გენდერული საბჭო და ახალგაზრდული საკრებულო“, - აღნიშნა ლელა ნაცვალაძემ.

მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბჭოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტში კარგად აისახა. გარდა ამისა, გამგებელს უკვე ჰყავს მრჩეველი გენდერულ საკითხებში, რომელიც გენდერული საბჭოს წევრია.

საბჭოს მუშაობის გაფართოების მიზნით თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ადგილობრივ თვითმმართველობას, ქალაქის მუნიციპალიტეტსა და გურიის გუბერნიას შორის.

ოზურგეთში საკმაოდ ბევრი ადამიანი დაინტერესდა გენდერული საკითხებით და გამოთქვა საბჭოში გაწევრიანების სურვილი. ვინაიდან წევრთა რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ შეიქმნა სათათბირო, მასში გაერთიანდნენ საკრებულოს, სოფლის გამგეობების, მერიის, გუბერნიის წარმომადგენლები.

ბათუმი

ბათუმის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნინო ბერაძე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ (2014 წლის ივნისი) იქნა არჩეული. პრეზენტაციისას აღნიშნა, რომ კარგი მემკვიდრეობა ერგო წინამორბედებისგან, რადგან საბჭო ანგარიშგასაწევი ძალაა ბათუმში: „ჩვენ წარმოვადგენთ როგორც გენდერულ საბჭოს, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას. კარგად გვესმის, რა რესურსს ფლობს არასამთავრობო სექტორი. ადგილობრივი ხელისუფლება, რა თქმა უნდა, წაგებული დარჩება, თუ ამ რესურსს ვერ გამოიყენებს. ჩვენ დღეს ვნახეთ შედეგები იმ მუშაობისა, რომელსაც საბჭოები ეწევიან ოთხივე ქალაქში“.

შედეგი საკმარისად დაუგროვდათ. საბჭოს მიერ გენდერული კუთხით შექმნილი სამი პროექტი ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა, რის საფუძველზეც ბათუმის გენდერულ საბჭოს მუშაობის გაგრძელების საშუალება მიეცა.

ოთხმხრივი მემორანდუმი - გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრის მთავარი შედეგი

ქუთაისი რა შედეგები აქვს ქუთაისის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს, როგორია სამომავლო გეგმები - ამ მიმართულებით ისაუბრა საბჭოს თავმჯდომარემ ირმა პეტრიაშვილმა.

მისი თქმით, ქუთაისის საბჭოს წევრების სახით დიდი პოტენციალი გააჩნია - მათ აქვთ შესაბამისი მოტივაცია, ნიჭი და უნარი, იმუშაონ გენდერული პოლიტიკის დასანერგად ადგილობრივ დონეზე. ორი წელი არ არის დიდი დრო სერიოზული შედეგების მისაღებად, ქუთაისი პოლიტიკურად რთული ქალაქია და ის, რაც სხვა რეგიონში მარტივად წყდება, აქ უფრო ძნელი მისაღწევია. თუმცა, საბჭოს მუშაობა აქტიურ ფაზაშია და მთავარი შედეგი მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა აისახოს.

ირმა პეტრიაშვილმა მნიშვნელოვანი უწოდა ქუთაისის მერიისა და საბჭოს თანადაფინანსებით შექმნილ პროექტს „ოლიმპიადა თანაბარ შესაძლებლობებს იძლევა“. აღნიშნა, რომ საერთო სურათის შესაცვლელად და შედეგების მისაღებად ყველა მიმართულებით უნდა მოხდეს გენდერული კომპონენტების დანერგვა. ამიტომ სპორტის სფეროში გენდერული პროპაგანდის გაწევა პოზიტიურად იმუშავებს საზოგადოების ცნობიერებაზე. სამომავლო გეგმებზე საუბრისას აღნიშნა, რომ განხილვის პროცესშია მეორე პროექტი, რომელიც მერიისა და ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლობის ახალ ეტაპს დაუდებს სათავეს.

სენაკი ნანა ალანიამ, სენაკის საბჭოს თავმჯდომარემ, თავის გამოსვლაში კონკრეტულ შედეგებზე გააკეთა აქცენტი. მისი აზრით, გენდერული პრობლემები ძალიან ახლო გახდა სენაკის ადგილობრივი ხელი-

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო

სენაკის
გენდერული
საკონსულტაციო
საბჭო

ბათუმის
გენდერული
საკონსულტაციო
საბჭო

სუფლებისთვის და ეს მხარდაჭერა ერთობლივ პროექტებში აისახა. საბავშვო ბაგა-ბაღებში გაწეული საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც ექვსთვიანი პროექტის ფარგლებში ტარდება, გენდერული კუთხით მნიშვნელოვანი ინფორმაციული შენაძენი იქნება არა მხოლოდ ამ პროექტში ჩართული ადამიანებისათვის, არამედ სკოლამდელი ასაკის დაწესებულებების მუშაობის მოდელზეც იქონიებს გავლენას.

კარგი ეფექტი ჰქონდა საბჭოს ინიციატივით, გამგეობის მხარდაჭერით განხორციელებულ მეორე მინი-პროექტს, რომლის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები გენდერის, გენდერული თანასწორობისა და ძალადობის თემაზე საკრებულოს, გამგეობის წევრებთან და ახალგაზრდების ჯგუფთან.

აღინიშნა ასევე საბჭოს წევრთა ადვოკატირების შედეგად მოგვარებული სოციალური პრობლემები.

●

ოთხივე საბჭოს თავმჯდომარემ ისაუბრა ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შესწავლის მიზნით სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან ჩატარებულ კვლევებზე. ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესი იწყება და საბჭოს შემადგენლობა, განსაკუთრებით საკრებულოს წევრები, იქნებიან ლობისტები, რომ მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ადგილობრივ ბიუჯეტში აისახოს.

პრეზენტაციების დასრულების შემდეგ დისკუსია გაიმართა და დაინტერესება გამოიხატა ცალკეული პროექტების მიმართ. ეს იყო საუკეთესო საშუალება გამოცდილების გაზიარებისათვის.

პროდუქტიული იყო შეხვედრის მეორე ნაწილი. ოთხივე ჯგუფმა ერთსაათიანი მუშაობის შემდეგ სტრატეგიული გეგმის საკუთარი ვარიანტი წარმოადგინა და გამოჩნდა თითოეული საბჭოს სამომავლო ხედვა.

ხათუნა გოგუა

საინფორმაციო შეხვედრები, კლუბები, მოგვარებული და მოუგვარებელი პრობლემები

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის შესახებ, პრობლემების შესწავლა და ადვოკატირება - ქუთაისის, სენაკისა და ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბებისა და ამ ქალაქებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების ძირითადი მიმართულებაა. სოციალური, ჯანდაცვის, განათლების და სხვა სახის საკითხების მოგვარებას კლუბის აქტიური წევრები გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან თანამშრომლობით ახერხებენ, თუმცა არსებობს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც დღემდე ვერ ხერხდება.

მიგრაცია ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომელიც ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბმა დასვა. ერთ-ერთ შეხვედრაზე მოწვეული იყო ექიმი-ფსიქოთერაპევტი გია მოშიაშვილი. მან კლუბის წევრებს ჩაუტარა ლექცია, როგორ იურთიერთობონ ისეთ ბავშვებთან, რომელთა მშობლები საზღვარგარეთ არიან.

ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ გარემოს დაცვის საკითხს. მათ ნიკეას და გელათის ქუჩებზე გამხმარ ხეებთან დაკავშირებული პრობლემა შეისწავლეს და მის მოგვარებასაც ეცადნენ - კლუბის მოდერატორი ლარისა შენგელია ამბობს, რომ არა კლუბის აქტიურობა, ამ ქუჩებზე გამხმარი ხეები არ მოიჭრებოდა.

კლუბმა ქალაქში ტრანსპორტის მომსახურების (არ არის დაცული ჰიგიენა, მოძრაობა წყდება საღამოს 8 საათის შემდეგ და ა.შ.) საკითხიც დასვა. ერთ-ერთ სხდომაზე საკრებულოს წევრი დავით წიტაიშვილი მოიწვიეს. მან აღნიშნა, რომ ერთი წლის განმავლობაში ქუთაისში ტრასპორტი გადავა მუნიციპალურ მომსახურებაზე და, შესაბამისად, პრობლემებიც მოგვარდება.

კლუბმა ერთ-ერთ შეხვედრაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემები შეისწავლა, რომელთა ჩამონათვალიც, მოგვარების მიზნით, ქალაქის ადგილობრივ ხელისუფლებას გადასცა.

ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბიც აქტიურად მუშაობს. მისმა წევრებმა ერთჯერადი დახმარება გაუწიეს ძალადობის მსხვერპლ ქალს (მარტოხელა, მცირეწლოვანი ბავშვის დედა). ინფორმაცია მის შესახებ კლუბს ოზურგეთის სოციალურმა სამსახურმა მიაწოდა. კლუბის წევრებმა შეაგროვეს პროდუქტები, ჰიგიენური ნივთები და საჩუქრად გადასცეს ოჯახში ძალადობის მსხვერპლს.

კლუბის მოდერატორმა ნანა კეკელიძემ პირადად გაუწია ერთჯერადი ფინანსური დახმარება სოფელ გურიანთაში, დაუნის სინდრომით დაავადებულ გოგონას (ესაჭიროებოდა მედიკამენტი, რომლის ღირებულებაც 100 ლარია და რომლის შეძენის შესაძლებლობაც ოჯახს არ ჰქონდა).

სენაკის ამომრჩეველ ქალთა კლუბზე ხშირად განიხილება სხვადასხვა სოციალური საკითხი. მაგალითად, დასახელდა 26 მაისის ქუჩაზე არსებული პრობლემები: არ არის ასფალტის საფარი, მოუწესრიგებელია გზა, გაუმართავია სანიაღვრე სისტემა, წვიმიან ამინდში შემოსასვლელი ისე იტბორება, რომ ფეხით გავლა შეუძლებელია. არის გარე განათების პრობლემაც. ამ პრობლემებთან დაკავშირებით მომზადდა განცხადება, რომელიც ქალაქის მერიაში შეიტანეს.

კლუბებზე დასმული პრობლემები გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შეხვედრებზე განიხილება და, შესაბამისად, შედეგიც მოჰყვება.

ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში სისტემატურად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან.

სენაკის ყოფილი სასტუმრო „ეგრისის“ პრობლემები განიხილებოდა ერთ-ერთ საინფორმაციო შეხვედრაზე. იქ მცხოვრებმა 33 დევნილმა ოჯახმა ფონდი „სოხუმის“ ასისტენტის მიერ ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრაზე ყველაზე მწვავე პრობლემები დაასახელა - არ არის გაზი, პირველი სართულის ფოიეში ჭერი ნახევრად ჩამონგრეულია, სარდაფში კი ანტისანიტარიაა. პრობლემები დაისვა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე და ერთ-ერთი მათგანი (სარდაფის დასუფთავება) კლუბის წევრთა და ქალაქის დასუფთავების სამსახურის ერთობლივი ძალებით მალევე მოგვარდა.

ქუთაისის კლუბი

სენაკის კლუბი

ოზურგეთის კლუბი

საინფორმაციო შეხვედრა სენაკში

ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ერთ-ერთ რეაბილიტირებულ შენობაში ჩასახლებულმა დევნილებმა საინფორმაციო შეხვედრაზე თავიანთი თხოვნა გაახმოვანეს - სპორტული მოედნის ან გასართობი კუთხის მოწყობა. ინფორმაცია ამის შესახებ გადაეცა გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს. საბჭოს თავმჯდომარე ირმა პეტრიაშვილი ნიკეას ქუჩის მაჟორიტარი დეპუტატია და, მისი თქმით, პრობლემა წლის ბოლომდე მოგვარდება.

ოზურგეთში ჩატარებულ საინფორმაციო შეხვედრებზეც უამრავი პრობლემა განიხილება. მაგალითად, ჩოხატაურის ქუჩის მცხოვრებთა (მათ შორის არიან ეთნიკური სომხები) ძირითადი პრობლემებია: სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავები, მოუწესრიგებელი გზები და ეზოები, გაზიფიცირება, დაზიანებული საწრეტები. მათ არაერთხელ მიმართეს წერილობით ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ჯერ არაფერი შეცვლილა.

არის შემთხვევები, როდესაც ფონდი „სოხუმის“ მუშაობა ქალაქის ფარგლებს სცილდება.

„გელ ბურია!“ - ასე ეხმიანებიან ქართველები და რეპატრიანტი მესხები სოფელ ნასაკირალში ერთმანეთს. დაბა ნასაკირალის პირველ რაიონში ათამდე ოჯახი ცხოვრობს, ხოლო დაახლოებით 6 კილომეტრში, ე.წ. „კუნძულზე“, უფრო მეტი - 20-მდე ოჯახი.

რეპატრიანტი მესხების უმრავლესობა კარგად ფლობს ქართულ ენას. როგორც ჯამილა იორდანიძე ამბობს, „ბაღნები ქართულ სკოლაში დაიარებიან". სკოლა მოშორებითაა, ამიტომ ბავშვებს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ტრანსპორტით უწევთ გადაადგილება ახლო სოფლის - დვაბზუს სკოლამდე, შემდეგ ფეხით მიდიან. პირველ რაიონში მხოლოდ ერთი ბაგა-ბაღია, სადაც ორი ჯგუფი ფუნქციონირებს.

სოფელში ბევრი პრობლემაა - უმუშევრობა ერთ-ერთია. მამაკაცები სეზონურად დადიან თურქეთში სამუშაოდ. საინფორმაციო შეხვედრის შემდეგ გენდერულმა საბჭომ გადაწყვიტა, მეტი ყურადღება მიაქციოს ამ დასახლების მცხოვრებთ.

ქუთაისში, სენაკსა და ოზურგეთში არსებული პრობლემების შესწავლა და მათი ადვოკატირება საინფორმაციო შეხვედრებისა და ამომრჩეველ ქალთა კლუბის სხდომების მეშვეობით მომავალი ერთი წლის განმავლობაშიც გაგრძელდება.

მანანა ლეშკაშელი

ქუთაისის გენდერული საბჭო აქტიურ ფაზაში გადადის

ქუთაისი – თვითმმართველი ქალაქი, იმერეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრი. მდებარეობს მდინარე რიონზე. სიდიდით არის საქართველოს მეორე ქალაქი თბილისის შემდეგ. ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1811 წელს.
ფართობი - 70 კმ².
მოსახლეობა - 192.500 ადამიანი (2010).

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო საინტერესო, მოტივირებული, პროფესიონალი და გენდერულად სენსიტიური ადამიანებით არის დაკომპლექტებული. ბოლო წელი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა.

საბჭოს ყოველთვიურ სხდომებზე გამოიკვეთა, რომ მონაწილეების ერთ ნაწილს პროექტების წერის კუთხით მცირე გამოცდილება ჰქონდა, სწორედ ამის გათვალისწინებით მარტში დაიგეგმა ტრენინგი „პროექტების წერის ტექნიკა, დიზაინი და მართვა“. ტრენინგმა მონაწილეებს მისცა მოტივაცია ახალი პროექტების შესაქმნელად. იქვე გაჩნდა იდეებიც.

მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა საბჭოს დარეგისტრირება გაერთიანებად, რაც 16 ადამიანის ხელმოწერით დადასტურდა და ნოტარიულად დამტკიცდა. გაერთიანება ოფიციალურად დარეგისტრირდა შემოსავლების სამსახურში და მისი თითოეული წევრი იურიდიული უფლებებითა და მოვალეობებით გათანაბრდა.

საბჭოს წევრთა ინიციატივით შეიქმნა პირველი პროექტი „გენდერული განათლება სკოლამდელ დაწესებულებებში“, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლამდელ დაწესებულებებში გენდერული კომპონენტების დამკვიდრებას და აღმზრდელ პედაგოგთა მომზადებას გენდერული კუთხით. დიდი მცდელობის მიუხედავად, პროექტი წარუმატებელი აღმოჩნდა და მისი თანადაფინანსება ვერ მოხერხდა ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

საბჭოს წინაშე დაისვა საკითხი, რატომ ვერ მოხერხდა ლობირება, რა შეცდომები იქნა დაშვებული, რისი წარმართვა შეიძლებოდა უფრო ეფექტურად. დღის წესრიგში დადგა კომუნიკაციის ხარისხის გაზრდა.

თანამშრომლობის გაფართოების, გამოცდილების გაზიარების მიზნით ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები მიწვეულნი იყვნენ სენაკში, სადაც იქაური გენდერული საკონსულტაციო საბჭოს პროექტის ფარგლებში მრგვალი მაგიდა გაიმართა თემაზე: „გენდერული ძალადობა და ძალადობრივი გარემოს გავლენა მოზარდის განვითარებაზე“.

შეხვედრა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ამის შემდეგ ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმღვანელი და მისი მოადგილე დაესწრნენ ფონდი „სოხუმის“ მიერ ძალადობის თემაზე გამართულ ტრენინგს ბორჯომში. ამას მოჰყვა ვორკშოპი ფონდ „სოხუმში“ თემაზე „გენდერი, ბავშვთა გენდერული აღზრდა“. მასში მონაწილეობა მიიღო ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების 15 წარმომადგენელმა.

პირველი წარუმატებელი პროექტის შემდეგ გენდერულმა საბჭომ მოამზადა მეორე პროექტი „ოლიმპიადა თანაბარ შესაძლებლობებს იძლევა“. ქუთაისის მერიისა და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტი იყო პროპაგანდა იმისა, რომ თანაბარი უფლებების დამკვიდრება ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით უნდა მოხდეს, რომ სპორტი სწორედ ის არენაა, რომელიც თანაბარ შესაძლებლობებს იძლევა ქალებისა და მამაკაცებისთვის.

ადგილობრივმა ტელევიზიებმა რამდენიმე გადაცემა მიუძღვნეს პროექტს. მის შესახებ დაიწერა სხვადასხვა გამოცემაში. ოლიმპიური ჩირაღდანი ქუთაისში 23 ივნისს შემოვიდა. სწორედ ამ დღეს იყო პროექტის კულმინაცია. მომზადდა სხვადასხვა ატრიბუტი: თეთრი მაისურები წარწერებით - გენდერული საკონსულტაციო საბჭო, კეპები, ალმები, დაფნის გვირგვინები, ჰელიო ბუშტები.

საბჭოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი გენდერული საჭიროებების კვლევა. ანკეტირების, ფოკუს-ჯგუფების, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა 241 ადამიანი. ჩატარებული კვლევის ანალიზის საფუძველზე მომზადდა მნიშვნელოვანი მასალა. რეკომენდაციების საბოლოო ვარიანტი, როგორც ქუთაისის გენდერული პოლიტიკის გეგმა, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინება მომავალი წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

თანამშრომლობისა და გამოცდილების გაცნობის მიზნით განსაკუთრებული იყო ბათუმში გამართული ქსელური შეხვედრა. მასში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის, ბათუმის, სენაკის,

ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭოებმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოთხივე ქალაქიდან, მერებმა, საკრებულოს თავმჯდომარეებმა, მოადგილეებმა. შეხვედრაზე გაფორმდა ოთხმხრივი მემორანდუმი. მონაწილეთა აზრით, გაერთიანების გაფორმებით შეიქმნა ერთიანი სამოქმედო სტრატეგია, რომელიც ოთხივე ქალაქის საინტერესო იდეებს გააერთიანებს და ხელს შეუწყობს გენდერულად სენსიტიური ბიუჯეტის შექმნას ადგილობრივ დონეზე.

ბათუმის შეხვედრამ გავლენა იქონია მონაწილეებზე. სხვათა გამოცდილება გადამდები და სტიმულის მიმცემი აღმოჩნდა საბჭოს წევრებისთვის. გაჩნდა იდეები ახალი პროექტებისთვის. ერთ-ერთმა იდეამ მალე საინტერესო პროექტის სახე მიიღო.

ქუთაისის მერიის, ააიპ სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისა და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით საბჭომ წარმატებით განახორციელა პროექტი „მოზარდთა ბანაკი - გენდერული განათლება ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის“.

40-კაციანი შემადგენლობით მოზარდთა ბანაკმა 8 დღე იმუშავა ქობულეთში. პროექტის მიხედვით, 6 ვორკშოპი ჩატარდა გენდერულ თემებზე. მოზარდებმა ჯანსაღი ცხოვრების წესთან ერთად გააცნობიერეს გენდერულად თანასწორუფლებიანი საზოგადოების შექმნის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ბანაკს ესტუმრნენ ქალაქ ქუთაისის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

პროგრამა საინტერესოდ იყო შედგენილი კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და შემეცნებითი სავარჯიშოებით. ჩატარებულ დისკუსიებს განსაკუთრებული ინტერესი მოჰყვა მოზარდთა მხრიდან. მონაწილეებს შორის შეირჩნენ აქტიური ლიდერი-მოხალისეები, რომლებიც გენდერის თემაზე დისკუსიებს საკუთარ სკოლებში გააგრძელებენ.

საბჭოს წევრები ახალ პროექტზე მუშაობენ. მეტი ეფექტურობისთვის შეიქმნა სამი ჯგუფი: „ფანდრაიზინგის“ ჯგუფი, რომელიც იმუშავებს თანხების მოძიებაზე; ჯგუფი, რომელიც პროექტებს შეიმუშავებს და ლობისტების ჯგუფი, რომელიც საბჭოს მიერ წარმოდგენილ წინადადებებსა და რეკომენდაციებს გაუწევს ლობირებას.

ამ ეტაპზე გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები საკრებულოსთვის წარსადგენ რეკომენდაციებს და გენდერული პოლიტიკის გეგმის პროექტს ამუშავებენ, შემდეგ კი ლობისტთა ჯგუფი ჩაერთვება პროცესში, რათა ეს წინადადებები მომავალი წლის ბიუჯეტში აისახოს.

ხათუნა გოგუა
ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მდივან-ასისტენტი

საბჭოს წევრები

ნოდარ ჯიქია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი: - კვლევის ჩატარების შემდეგ არასამთავრობოებს გვქონდა შეხვედრა ქალაქის მერთან და მივიღეთ დაპირება, რომ იქნება მხარდაჭერა. ასე რომ დამოკიდებულება შეიცვალა. ეს არის სიტუაციის გაუმჯობესება. მაგრამ მეტი უნდა ვიმუშაოთ საზოგადოებასთან. ამას წინათ ჩატარდა 300-კაციანი ფორუმი უნივერსიტეტში. წარმოდგენილი იყო ქალაქის ელიტა, ახალგაზრდობა, 60 საკითხი გამოიკვეთა, მაგრამ გენდერული თემა არ დასმულა. ამიტომ საბჭოს მეტი კომუნიკაცია ესაჭიროება მოსახლეობასთან.

გურამ ტოროშელიძე, ქუთაისის საკრებულოს წევრი, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე: - არის თუ არა წყლის პრობლემის გადაჭრა გენდერული საკითხი? გზების მოპირკეთება? სანიაღვრე სისტემა? არის თუ არა სოციალური საკითხების გადაჭრა გენდერული? სწორედ ამაზე მივიღეთ ჩვენ ბიუჯეტი და ჩვენი მუშაობაც ამ კუთხით იკვეთება. ჩვენ მივაღწიეთ და ქუთაისს აქვს გენდერული ბიუჯეტი.

ტარიელ მეტონიძე, ქუთაისის საკრებულოს წევრი: - ჩვენ თანხა დავამატეთ ბიუჯეტში პანდუსებისთვის. ეს საბჭოს მუშაობის შედეგია.

ნატალია თოდუა, არასამთავრობო ორგანიზაცია „მერმისის“ მენეჯერი: - საბავშვო ბაღების მშენებლობაც საბჭოს გავლენით მოხდა. ერთის ნაცვლად ორი შენდება.

ლარისა შენგელია, ფონდი „სოხუმის“ ქუთაისის ამომრჩეველ ქალთა კლუბის მოდერატორი: - ბაღების ბიუჯეტიც გაიზრდა, სამჯერადი კვებაა. მეორე ცვლა დაემატა. ამ გადაწყვეტილებას ჩვენმა კვლევებმაც შეუწყო ხელი.

ირმა პეტრიაშვილი: „ქუთაისის გენდერული საბჭო ცოცხალი ორგანიზმია“

გენდერული საკონსულტაციო საბჭო ქუთაისის საკრებულოსთან თითქმის ორი წელია არსებობს. ბოლო ერთი წლის მანძილზე საბჭოს ქუთაისის საკრებულოს მეხუთე მოწვევის დეპუტატი, კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარე, ირმა პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს.

ქალთა საჭიროებების ადვოკატირება და ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული კომპონენტების დანერგვა - ეს ის თემებია, რაზეც გენდერული საკონსულტაციო საბჭო აქტიურად მუშაობს. როგორ აფასებს მოქმედი თავმჯდომარე საბჭოს ერთი წლის მუშაობას და რა იგეგმება მომავალში - ამის შესახებ თავად ირმა პეტრიაშვილი გვესაუბრება.

- როგორ აისახება ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა რიგით მოქალაქეებზე?

- გენდერული საკითხები ახალია როგორც საკრებულოსთვის, ისე საზოგადოებისთვის. ამ ერთი წლის განმავლობაში შესამჩნევი იყო საზოგადოების ჩართულობა მის მუშაობაში და უფრო აქტიურად იყო საკრებულოს როლი წარმოჩენილი. ჩავატარეთ კვლევები, გამოვლინდა საზოგადოების გენდერული საჭიროებები. პირველ რიგში, აღსანიშნავია სკოლამდელი აღზრდის გაუმჯობესება.

ქუთაისის საკრებულოს წევრი მამაკაცების უმრავლესობა გენდერული საბჭოს წევრია და აქტიურად თანამშრომლობს მასთან. რადგან ჩვენ პირველი კვალი გაგვყავს ამ მიმართულებით, არის, რა თქმა უნდა, ხარვეზებიც. მაგალითად, საბავშვო ბაღების პედაგოგების გადამზადება წელს ვერ მოხერხდა, მაგრამ მომავალ წელს აუცილებლად გაკეთდება.

განხორციელდა პროექტი „მოზარდთა ბანაკი - გენდერული განათლება ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის“. მონაწილეობა მიიღო 12-დან 17 წლამდე 40-მა სპორტსმენმა. მათ ჩაუტარდათ ვორკშოპები გენდერულ თემაზე - ის 8 დღე, რომელიც ქობულეთში გაატარეს, საინტერესო და ნაყოფიერი იყო. სექტემბრისთვის ვგეგმავთ საერთაშორისო კონფერენციას თემაზე „ქალი რელიგიაში“. ვიმსჯელებთ, როგორია ქალთა როლი ისლამში, კათოლიკურ და მართლმადიდებლურ კონფესიებში, რა პრობლემები აქვთ ქალებს და როგორ უყურებს რელიგია ქალის როლს. ვცდილობთ, ჰარმონიულ ურთიერთობებს შევუწყოთ ხელი და თითოეული ნაბიჯი ამ მიმართულებით გადავდგათ. თუკი შევაჯამებთ გენდერული საბჭოს მუშაობის ერთ წელს, ცოტა არაა გაკეთებული. შეიძლებოდა მეტის გაკეთება, მაგრამ მნიშვნელობა აქვს რესურსებსაც. მომავალ წელს უფრო მეტი გაკეთდება ამ კუთხით.

- საქართველოში გენდერული თანასწორობის მხრივ მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ფონზე გენდერული საბჭოების ფუნქციონირება?

- გენდერული პრობლემები აშკარაა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ძალადობის პრობლემა. ის არ არის მარტო კონკრეტულ სახელმწიფოში ან სოციუმში. ძალადობა არის სამყაროში და მისი ყოველი ელემენტი სატელევიზიო სივრციდანაც იგრძნობა. საზოგადოებამ უნდა იფიქროს ამ თემებზე. დღის განმავლობაში უარყოფითი ინფორმაციის ნიაღვარი მოდის და ბავშვები არ არიან დაცული ასეთი ინფორმაციისგან. თუნდაც, მულტფილმები რომ ავიღოთ, ყოველთვის მაქვს შინაგანი პროტესტი მათ მიმართ. არ შეიძლება, ბავშვებს ვაჩვენოთ ძალადობა. ვიზუალურადაც, სილამაზის განცდაც არ აქვთ. არ იციან, რას უნდა გავუფრთხილდეთ, რას არა - ეს არ ჩანს თანამედროვე ანიმაციაში. ყველაფერი ძალმომრეობაზეა აგებული. ყველა მულტფილმი

იწყება ვიღაცის მოკვლით და სისხლით, ძალადობით. ეს ილექება ბავშვის აზროვნებაში და შემდეგ, ნუ გაგვიკვირდება, რომ ზრდასრულ ასაკში ძალადობასთან იმდენად გაშინაურებულია, მისთვის უკვე არაფერს წარმოადგენს. აღარც საზოგადოებას არ გვიკვირს ქალებისა და ბავშვების მიმართ ყველაზე გახშირებული ძალადობის ფაქტები. ამას ემატება ეკონომიკური პრობლემები. ასევე ის, რომ ოჯახი არ არის სრულფასოვანი, დედა ან მამა წასულია საზღვარგარეთ და ხშირად ბავშვი რჩება ბებიასთან. ეს ყველაფერი იწვევს იმას, რა შედეგებსაც ჩვენ ახლა ვიმკით. თუ ბავშვს წლები არ აქვს დედასთან ურთიერთობა, ან ოჯახში, სადაც იზრდება, თაობები არ არიან, არ უყურებს თაობებს შორის პატივისცემას და მათგან მაგალითს ვერ იღებს - ეს ყველაფერი მომავალში თავს იჩენს.

ამ ფონზე, ვფიქრობ, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა აუცილებელია. როგორც საბჭოს ხელმძღვანელი, ვიტყვი, რომ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა გავიდეს საზოგადოებაში, მეტი შეხვედრა უნდა მოეწყოს. გასულ წელს, წინასაარჩევნოდ, ჩამოვაყალიბე ქალთა კლუბი, სადაც გაერთიანებული არიან საზოგადოებაში გამორჩეული ქალბატონები. მინდა, რომ ისინიც ჩაერთონ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშობაში და არა მარტო ისინი, არამედ მთელ ქალაქში გენდერული საბჭოს მუშაობა უნდა გახდეს და გახდება ცოცხალი ორგანიზმი. როდესაც ადამიანი ნახავს, რომ პრობლემების მოგვარება ხდება, ნდობა უფრო მეტი იქნება. საზოგადოება თავად გახდება თანამონაწილე, შეეცდება თავადაც ჩაერთოს და შეიცვალოს უკეთესობისკენ. ნაბიჯ-ნაბიჯ ეს თუ არ გაკეთდა, ჩვენ ვერ მივიღებთ იდეალურ საზოგადოებას და სახელმწიფოს. ამას ძალიან დიდი შრომა და დრო ჭირდება.

2015 წლის ბიუჯეტში ჩავსვით გენდერული საკონსულტაციო საბჭოს კვლევების შედეგად გამოვლენილი მუხლები: საბავშვო ბაღების პედაგოგების გადამზადება და მშობლებთან თანაშრომლობა, ახალგაზრდული ბანაკი ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის, რომელიც ფონდი „სოხუმისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით მოეწყო. ერთობლივი თანადაფინასებით იგეგმება საერთაშორისო კონფერენციის „ქალი რელიგიაში“ მოწყობა. სამწუხაროდ, არ გვაქვს ისეთი უხვი ბიუჯეტი, რომ ყველა გამოკვეთილი საჭიროება დაიტიოს, მაგრამ მომავალ წელს გვაქვს პრიორიტეტები, რისი გათვალისწინებაც აუცილებლად მოხდება.

- როგორია თქვენი პროგნოზი, გაითვალისწინებენ თუ არა 2016 წლის ბიუჯეტში საბჭოს რეკომენდაციებს და თქვენ როგორ აპირებთ თქვენს მიერ ინიცირებული საკითხების მხარდაჭერას?

- ჩვენ გვაქვს რიგი პრიორიტეტებისა - ეს სკოლამდელ აღზრდას ეხება, პედაგოგების გადამზადებას და მშობლების აქტიურ ჩართვას. შესაძლებელია გაკეთდეს მშობელთა კლუბები და მუშაობა ამ მიმართულებით უფრო გაღრმავდეს. ეს აუცილებლად უნდა ჩაიდოს მომავალი წლის ბიუჯეტში. იმედი მაქვს, როგორც წელს ვითანამშრომლეთ საკრებულომ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ერთად ისევე გავაგრძელებთ მომავალ წელსაც და ყველა ის დეტალი, რომელიც გენდერული კუთხით ბიუჯეტში უნდა ჩაიდოს, შესწავლილი და გაანალიზებული იქნება. ამ ურთიერთობით, მეტი ინფორმაციით და საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობით, ყველა ის საჭირბოროტო საკითხი ასახვას ჰპოვებს მომავალი წლის ქალაქის მთავარ საფინანსო დოკუმენტში.

- საბჭოს საქმიანობის შედეგად არის თუ არა გამოკვეთილი კონკრეტული საჭიროებები და სამომავლოდ რა იგეგმება მათი განხორციელების კუთხით?

- გენდერული საჭიროებები მხოლოდ ერთი კუთხით არაა და ისევე იქნება კონკრეტულ სეგმენტზე გათვლილი, როგორც მიმდინარე წელს ჩვენ ბიუჯეტში ჩადებული გვქონდა 1-დან მე-5 კლასის ჩათვლით სკოლის მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება. ეს ისევ გაგრძელდება და მომავალი წლის ბიუჯეტშიც ჰპოვებს ასახვას. ვფიქრობთ, ინფრასტრუქტურაში გენდერული კუთხით გამოსწორდეს ის საჭიროებები, რაც კვლევების შედეგად გამოვლინდა. ეს იქნება საგზაო ნიშნები თუ ბაღებსა და სკოლებში მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, მაგრამ 2016 წლის ბიუჯეტიც ვერ დაიტევს ყველა ამ საჭიროებას და ეს ყველაფერი ეტაპობრივად განაწილდება მომდევნო წლების ადგილობრივ ბიუჯეტში.

დეა მანაგაძე
„ქუთაისიპოსტის“ ჟურნალისტი
სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

საინფორმაციო პორტალი „ქუთაისიპოსტი“ - დამოუკიდებელი, საინფორმაციო-ანალიტიკური, მულტიმედია ინტერნეტ გამოცემა, რომელიც აშუქებს ქუთაისსა და იმერეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს.

სენაკი - გენდერული საბჭოს შედეგიანი ერთი წელიწადი

სენაკი - მუნიციპალიტეტი სამეგრელოს და ზემო სვანეთის მხარეში. სენაკის მუნიციპალიტეტი იშლება რიონისპირეთიდან. უჭირავს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთი ნაწილის ცენტრი.
ფართობი - 520,7 კმ2
მოსახლეობის რაოდენობა - 52.002 ადამიანი (2006 წელი)
მუნიციპალიტეტში 64 დასახლებული პუნქტია - ქალაქი სენაკი და 63 სოფელი.

სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოსთვის ბოლო წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო.

2014 წელს ჩატარდა ადგილობრივი გენდერული საჭიროებების კვლევა და შემუშავდა რეკომენდაციები 2015 წლისთვის და ქალაქის გენდერული პოლიტიკა. საბჭოს წევრთა აქტიური მუშაობის შედეგად გამოიკვეთა პროგრამები, რომლებიც შევიდა 2015 წლის ბიუჯეტში:

- სოციალურად დაუცველთა უზრუნველყოფა მედიკამენტებით - 70 ლარის ოდენობით
- პირველად 2015 წლის ბიუჯეტში დაემატა სოციალურად დაუცველთათვის სახლის სახურავის შეცვლის პროგრამა
- სენაკის საჯარო სკოლების პირველი და მეორე კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკური გამოკველევის პროგრამა
- საბავშვო ბაღების აღსაზრდელების ჰელმინთებზე გამოკვლევის პროგრამა
- სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლებში კომპლექსური სამედიცინო გამოკვლევის პროგრამა

ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მოხდა თანადაფინანსება საბჭოს პროექტისა „სამოქალაქო განათლება გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოსათვის სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში“. მის ფარგლებში 10 საბავშვო ბაღში გაიმართა ვორკშოპები პედაგოგებისა და აღსაზრდელთა მშობლებისათვის გენდერის, ძალადობისა და ეკოსანიტარიის საკითხებზე. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დაწესებულებასა და გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს შორის. გაიმართა მრგვალი მაგიდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოეწყო ადგილობრივი ქალბატონების ნამუშევრების გამოფენა. გავიდა ტელესიუჟეტები ტელეკომპანია „ეგრისის“ ეთერით.

გენდერული საბჭოს ინიციატივით სენაკის გამგეობის ახალგაზრდობისა და გენდერის განყოფილებასთან ერთად განხორციელდა მეორე მინი-პროექტი, რომლის ფარგლებში ფონდი „სოხუმის“ მწვრთნელებმა საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლებისა და ახალგაზრდული ჯგუფისთვის ჩაატარეს ტრენინგი გენდერისა და გენდერული ძალადობის საკითხებზე. შედეგად - ამაღლდა 24 თანამშრომლისა და 25 ახალგაზრდა აქტივისტის ინფორმირების დონე აღნიშნულ საკითხებზე. ტრენინგი მნიშვნელოვანი იყო, რადგან მონაწილეებმა გააცნობიერეს, რისი გაკეთება შეუძლიათ ძალადობის მსხვერპლის ეფექტური დახმარებისათვის.

გენდერული საბჭო აქტიურად იყო ჩართული ამომრჩეველ ქალთა კლუბის მიერ ინიცირებული პრობლემების მოგვარებაში.

ამჟამად საბჭო განაგრძობს მუშაობას ახალ საპროექტო იდეებზე. მომზადებულია გენდერული პოლიტიკის სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვარიანტი.

საბჭოს განზრახული აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა. საამისო რესურსები არსებობს - ყოფილი პანსიონატის ცარიელი კეთილმოწყობილი შენობა. ეს გახდება ერთ-ერთი პირველი რეგიონული ცენტრი სამეგრელოს მასშტაბით. პროექტის დაფინანსებაში საჭიროა ჩაერთონ სამეგრელოს რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტები, საოლქო ადმინისტრაცია, მთავრობა, დონორი ორგანიზაციები. ზუგდიდმა უკვე გამოთქვა მხარდაჭერა პროექტის მიმართ.

2015 წელს შეიქმნა ახალგაზრდული საკრებულო, რომლის წევრები საჭიროებენ მეტ

აქტიურობას ადგილობრივი ბიუჯეტისა და პოლიტიკის ფორმირებაში. აგრეთვე საჭიროა მეტი თანამშრომლობა სენაკში შექმნილ ახალგაზრდა ლიდერთა კლუბთან.

საზოგადოების ინფორმირებისთვის აუცილებელია ადგილობრივი ტელევიზიისა და გაზეთების დამატებითი მხარდაჭერა, აგრთვე დონორების მოძიება, რომ გამოიცეს საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც ასახავენ ადგილობრივ პროგრამებს სხვადასხვა გენდერული ჯგუფისთვის.

სენაკის გამგეობის სოციალური სამსახური აქტიურად განიხილავს საბავშვო ბაღებში სპეციალიზირებული ჯგუფების ჩამოყალიბებას შეზღუდული შესაძლებლობების (დაუნის სინდრომი, აუტიზმი და სხვ.) მქონე ბავშვებისთვის. ამ პროგრამის ამოქმედება უკვე 2016 წლის ბიუჯეტში იგეგმება.

თეა თორინავა
სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მდივან-ასისტენტი

საბჭოს წევრები

დინარა ხუხუა, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ თავმჯდომარე: - სასიხარულოა, რომ ფონდმა „სოხუმმა“ სამუშაოდ აარჩია სენაკის მუნიციპალიტეტი. ვერ ვიტყვით, რომ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს ყველა იცნობს სენაკში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ახალი სტრუქტურაა და ჯერჯერობით ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის მოსახლეობა. პროექტის განხორციელებამ კარგი შედეგები მოგვცა, დაგვანახა ბევრი პრობლემა და გადაჭრის გზებიც მოინახა. სახელმწიფოებრივი სამზადისიცაა, რომ ყველა საკრებულოსთან არსებობდეს გენდერული საბჭო, იმდენად გამოიკვეთა მათი საჭიროება. გზადაგზა დაიხვეწება და სრულყოფილ სახეს მიიღებს.

მერაბ გეგელია, სენაკის მუნიციპალიტეტის მზუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის მთავარი სპეციალისტი: - საბჭოს შექმნით და აქტიური მუშაობით შეიცვალა ადგილობრივი თვითმმართველობის დამოკიდებულება გენდერული საკითხების მიმართ - ეს არის მიზანი, რომელსაც მივაღწიეთ და წინგადადგმული ნაბიჯი. ადგილობრივი თვითმმართველობა ხალხის მიერ არჩეული ორგანოა და ყველაზე დიდი ლეგიტიმაცია სწორედ მას აქვს. ყველაზე დიდი პასუხიც მოეთხოვება. როცა თვითმმართველობა დამოკიდებულებას ცვლის, ეს უკვე ბიუჯეტშიც აისახება და ეს არის უმთავრესი.

ნატალია ხუბუა, გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი: - გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სახით თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის ახალი ინსტიტუციური მექანიზმი გაჩნდა. სერიოზული გამოწვევები არსებობს და, ვფიქრობ, რომ ამ გამოწვევებს გენდერული საკონსულტაციო საბჭო წარმატებით პასუხობს. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ წარმატებული გენდერული ბიუჯეტი გვაქვს. ეს არის თანაბარი შესაძლებლობების მიღწევის სოციალური ინსტრუმენტი, ამ სერვისების მიღების ხელმისაწვდომობა ყველა სფეროში, ყველა მიზნობრივი ჯგუფისათვის და სეგმენტისათვის. დაწყებით კლასებში პროფილაქტიკური გამოკვლევების პროგრამა ბიუჯეტში სწორედ გენდერული საბჭოს რეკომენდაციით შევიდა. არის სხვა მომენტებიც, რომლებიც იქნა გათვალისწინებული. მომავალ წელს ჩვენი ბიუჯეტი გაცილებით უფრო გენდერული იქნება.

ლალი გულუა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკი: - კვლევები განხორციელდა. უამრავი გენდერული საჭიროება გამოვლინდა და გაანალიზდა მათი მოგვარების გზები. თუნდაც სკოლამდელ დაწესებულებებში დიდი სამუშაო ჩატარდა გენდერული კუთხით, პედაგოგებთან და მშობლებთან. ესეც ხომ ჩვენი მიზნის ნაწილია?

ელისო ცაგურია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: - ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული გენდერული ხასიათის ტრენინგები ჩემთვის ჟანგბადივითაა. მე ვიზრდები ამ ტრენინგებით. ჩემს ვალდებულებას ვხედავ იმაში, რომ მიღებული გამოცდილება სწორი მიმართულებით გადავცე საზოგადოებას.

პროექტის 6 თვე სენაკში

დასრულდა სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ექვსთვიანი პროექტი „სამოქალაქო განათლება გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოსათვის სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში“. პროექტი განხორციელდა სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიერ შემუშავებული სენაკის მუნიციპალიტეტის გენდერული პოლიტიკის გეგმის შესაბამისად - ფონდი „სოხუმისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტი მიზნად ისახავდა სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საბავშვო და ბაგა-ბაღების პედაგოგების, აღმზრდელებისა და აღსაზრდელთა მშობლებისათვის სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას გენდერის, ძალადობის ფორმებისა და ეკოსანიტარიის საკითხებზე.

შესრულდა მიზნის მისაღწევად დასახული ყველა აქტივობა.

4-6 თებერვალს ჩატარდა ტრენინგი მწვრთნელებისთვის, რომლებიც შემდგომში ჩაატარებდნენ ვორკშოპებს საბავშვო ბაღებში. ტრენინგს ესწრებოდა 18 ადამიანი. მონაწილეებს შეხვდა და მხარდაჭერა გამოუცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ ხვიჩა ჟიშკარიანმა. საინტერესო იყო ტრენინგის თემები: ეკოსანიტარია, ნარჩენებისა და წყლის მართვა, გენდერული ძალადობა ოჯახში, ბავშვის გენდერული აღზრდა, მწვრთნელის უნარ-ჩვევები, ბავშვთა მიმართ ძალადობის ფსიქოსოციალური ასპექტები, ბავშვთა გენდერული განვითარება.

ტრენინგების მიმდინარეობა გაშუქდა ადგილობრივი ტელეკომპანია „ეგრისის“ საშუალებით.

20 თებერვალს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორსა და გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს შორის.

25 თებერვალს დაიწყო და 15 მაისს დასრულდა ვორკშოპები საბავშვო ბაღებში.

საერთო სურათი ასეთია: სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში 21 დაწესებულებაა - 15 საბავშვო და 6 ბაგა-ბაღი, აქედან ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულია 4 საბავშვო და 6 ბაგა-ბაღი. სულ ირიცხება 1142 აღსაზრდელი (ქალაქის ტერიტორიაზე - 874). მასწავლებელთა რაოდენობა - 41, მათ შორის ქალაქის საბავშვო ბაღებში - 27.

ვორკშოპები დაიწყო N1 ბაგა-ბაღიდან. ესწრებოდა 19 ადამიანი - მშობლები და მასწავლებლები. საუბრები ჯანსაღი ცხოვრების წესისა და პირადი ჰიგიენის დაცვის გამომუშავებაზე ჩაუტარდათ აღსაზრდელებსაც. მშობლების ინიციატივით და პატარების მონაწილეობით ჩატარდა გამწვანების აქცია: დაირგო და დაითესა ყვავილები, რომელთა ზრდას დააკვირდებიან პატარები.

N2 ბაგა-ბაღში ვორკშოპს ესწრებოდა 25 მშობელი, მათ შორის 2 მამაკაცი. ბენეფიციარებმა გამოთქვეს სურვილი, აღენიშნათ ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე - 8 მარტი. ამ დღეს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა და ბენეფიციარებმა მოაწყვეს თვითნასწავლ ქალთა ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო ნამუშევრები თექაზე, გობელენზე, დეკორზე. ასევე ნახატები და სამკაულები. გამოფენა დასრულდა კლასიკური მუსიკის კონცერტით. ღონისძიებას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე, გამგეობის სამსახურების უფროსები, საკრებულოს წევრები...

ვორკშოპები გაიმართა ქალაქის ექვსივე ბაგა-ბაღში, სამივე საბავშვო ბაღში და ბაღ „ოცნებაში“.

ვორკშოპების შედეგად გამოჩნდა, რომ მონაწილეებმა ნაკლებად იციან გენდერული საკითხების შესახებ. ზოგიერთი მათგანი, ბავშვებთან ურთიერთობაში, გაუცნობიერებლად იყენებს ძალადობის სხვადასხვა ფორმას. მათ დაინახეს განხილული საკითხების აქტუალობა და მიდგომების შეცვლის მნიშვნელობა სწორი გენდერული აღზრდისათვის.

აპრილში მომზადდა და ადგილობრივი ტელევიზიით ეთერში გავიდა გადაცემა პროექტის დაწყებისა და მიმდინარე აქტივობების შესახებ.

29 მაისს ზუგდიდის უნივერსიტეტის პროფესიული სწავლების სენაკის ბაზის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „გენდერული ძალადობა და ძალადობრივი გარემოს გავლენა მოზარდის განვითარებაზე“. მონაწილეობას იღებდნენ საბავშვო ბაღის გამგეები, აღმზრდელები, მშობლები, გამგეობისა და სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების წარმომადგენლები, სტუმრები ქუთაისის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებიდან, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები და ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენლები.

მონაწილეებს მიესალმა და გენდერული საბჭოს აქტიურ მუშაობას ხაზი გაუსვა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ. მისი თქმით, 2015 წლის ბიუჯეტში გამგეობამ გაითვალისწინა საბჭოს მიერ წარ-

დგენილი რეკომენდაციები და მომავალშიც მზადაა თანამშრომლობისათვის.

შეკრებილები გაეცნენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობას და პროექტის მიმდინარეობას. სენაკში არსებული სიტუაციის შესახებ ისაუბრა ექსპერტმა, შსს სენაკის რაიონული განყოფილების ინსპექტორ -გამომძიებელმა, კაპიტანმა სოფიო ჯანაშიამ. საინტერესო იყო ექსპერტ თამარ კალანდაძის მოხსენება „ძალადობრივი გარემოს გავლენა მოზარდის განვითარებაზე", რომელმაც მწვავე დისკუსია გამოიწვია.

მრგვალი მაგიდა გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

პროექტის მიმდინარეობის პარალელურად ბაღებში ტარდებოდა გამოკითხვა. გამოიკვეთა, რომ საჭიროა მოსახლეობის მეტი ინფორმირება გენდერულ საკითხებზე. გამოვლინდა პრობლემები: შენობები არ არის კეთილმოწყობილი; ბაღებს არ აქვთ სათამაშო მოედნები; ცოტაა გენდერული სათამაშო და თვალსაჩინო მასალა; მასწავლებლების ანაზღაურება დაბალია; არ არის ფსიქოლოგისა და ლოგოპედის შტატები.

ვორკშოპების დასრულებისთანავე მომზადდა წერილები და ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერით უკვე დაიწყო ზოგიერთი პრობლემის მოგვარება.

28 ივლისს გაიმართა პროექტის ფორუმ-პრეზენტაცია. პრეზენტაციის დაწყებამდე სტუმრებმა დაათვალიერეს ადგილობრივ ქალბატონთა ნამუშევრები და პროექტის ფოტომასალა. ფორუმის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს გაწეული მუშაობის მნიშვნელობას და წარმოჩენილი საკითხების აქტუალობას. ბენეფიციარებმა გამოთქვეს იმედი, რომ მონაწილეობას მიიღებენ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სხვა პროექტებში.

პროექტის შედეგები

- ადგილობრივ დონეზე შეიქმნა გენდერის, ძალადობის და ეკოსანიტარიის საკითხზე მომუშავე მწვრთნელთა 11-კაციანი ჯგუფი
- ქალაქის 10 სკოლამდელ დაწესებულებაში ჩატარდა 30 ვორკშოპი - თითო ბაღში სამ-სამი
- ძალადობის, გენდერისა და ეკოსანიტარიის საკითხებზე ცნობიერება აუმაღლდა 24 პედაგოგს და 150 მშობელს
- სატელევიზიო გადაცემებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების შედეგად მოსახლეობამ მიიღო ინფორმაცია პროექტის შესახებ
- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ათივე საბავშვო ბაღს საჩუქრად გადაეცა სათამაშოები და თვალსაჩინო მასალები
- ვორკშოპების მონაწილეთა ნაწილი სარგებლობს ფონდი „სოხუმის" ფსიქოლოგისა და იურისტის კონსულტაციით

ოზურგეთის გენდერულ საბჭოს აქვს პროექტების განხორციელების დიდი პრაქტიკა

ოზურგეთის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს აქვს პროექტების განხორციელების დიდი პრაქტიკა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით დასრულდა პროექტი „ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისათვის“. ეს იყო ვორკშოპების ციკლი გენდერულ საკითხებზე ოზურგეთის 5 სკოლაში. პროექტის ბოლოს ჩამოყალიბდა ახალგაზრდული გენდერული საკონსულტაციო საბჭო და ახალგაზრდული საკრებულო. მათ საბჭოს დახმარებით ინიცირება გაუკეთეს ახალგაზრდულ პროექტს ქალაქის მერიაში და ფონდი „სოხუმის“ თანადაფინანსებით ახორციელებენ პროექტს „ახალგაზრდები გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ“.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ორ პროექტზე. აღსანიშნავია, რომ ორივე პროექტი საბჭოს ლობირების შედეგად ჩაისვა ბიუჯეტში, მისი განხილვის დროს და ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაფინანსებით. ერთი არის დუბლიკატი ქალაქში განხორციელებული პროექტისა. ამჟამად პროექტი „ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისათვის“ ხორციელდება ოზურგეთის სოფლებში.

მეორე პროექტის „კიბო განაჩენი არ არის“ არეალია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 12 სოფელი. ეს არის ფსიქოლოგიური დახმარება და ინფორმაციის გავრცელება დაავადების პროფილაქტიკის მიზნით.

საბჭოს მუშაობის შედეგია ისიც, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწის შტატი გენდერული თანასწორობის საკითხებში. საბჭოს სთხოვეს, წარედგინა გენდერულ საკითხებში კვალიფიცირებული სპეციალისტის კანდიდატურა - ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქნა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს აქტიური წევრი ნია მექვაბიშვილი.

საბჭომ შეიმუშავა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკა 2015 წლისათვის და კონკრეტული საკითხები აისახა 2015 წლის ბიუჯეტში:

- ახალგაზრდებში ინფორმირებულობის დონის ამაღლება გენდერულ საკითხებში არაფორმალური განათლების მეშვეობით - 15000 ლარი (პროექტი, რომელსაც ახორციელებს საბჭო)
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით ინფორმაციის დონის ამაღლება - 9000 ლარი (პროექტი, რომელსაც ახორციელებს საბჭო)
- სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის დახმარების გაზრდა 100-დან 150 ლარამდე
- იმ სტუდენტების წახალისება, რომელთაც მიიღეს 100%-იანი გრანტი – 3000 ლარი სტუდენტისთვის და 1000 ლარი სკოლისათვის

ოზურგეთი - მუნიციპალიტეტი გურიის მხარეში, მდებარეობს მდინარეების ნატანებისა და სუფსის ხეობებში, დასავლეთიდან შავი ზღვა აკრავს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი 1917-მდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში, 1930-1934 და 1990-2006 წლებში ოზურგეთის რაიონი ეწოდებოდა, ხოლო 1934-1990 წლებში - მახარაძის რაიონი.

ფართობი - 675 კვადრატული კილომეტრი.

მოსახლეობის რაოდენობა - 84 126.

მუნიციპალიტეტში 74 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი - ოზურგეთი, 4 დაბა - ურეკი, ლაითური, ნარუჯა, ქვედა ნასაკირალი და 69 სოფელი

ბოლო, 2014 წლის არჩევნების შედეგად ოზურგეთი თვითმმართველი ქალაქი გახდა და ახლა ორი საკრებულოა - მუნიციპალიტეტის და თვითმმართველი ქალაქის.

ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში 15 დეპუტატიდან 7 ქალია!

ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ, როგორც დამოუკიდებელმა სტრუქტურამ, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასა და გურიის გუბერნიასთან.

გაიზარდა საბჭოს შემადგენლობა, რადგან ოზურგეთი გაიყო ქალაქად და მუნიციპალიტეტად. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ორივე ორგანოს წარმომადგენლების გაერთიანების და ერთიანი საბჭოს ჩამოყალიბების საჭიროება, რადგან საბჭოს საქმიანობამ მოიცვას მთელი ოზურგეთი.

გურანდა გვანცელაძე
ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მდივან-ასისტენტი

საბჭოს წევრები

გიორგი გირკელიძე, „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი: - გასულ წლებში ჩვენს რეგიონში ბევრმა მოქალაქემ არც იცოდა სიტყვა „გენდერის“ მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც ოზურგეთში გენდერული საკონსულტაციო საბჭო ჩამოყალიბდა, ამ ტერმინმა მეტი დატვირთვა შეიძინა. საბჭოში ის ადამიანები ვართ, რომელთაც კარგად აქვთ განვითარებული გენდერული ხედვა. სწორედ ამ ხედვის საფუძველზე არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა მოქალაქეთა ინფორმირებულობის ამაღლების კუთხით.

ეკა ნინიძე, სკოლამდელი საალმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი: - საბჭოს პროექტის ფარგლებში მწვრთნელად მომიწია მუშაობა სკოლებში. არ დავასახელებ პრესტიჟულ სკოლებს, სადაც გენდერის მნიშვნელობა არა თუ ბავშვებმა, პედაგოგებმაც არ იცოდნენ. მე 2014 წლის ივლისიდან ვარ ჩართული საბჭოს მუშაობაში. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო სამუშაო ჩემთვის.

ნინო ნიკოლაიშვილი, ქალაქ ოზურგეთის მერიის სოციალური დაცვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი: - ფონდი „სოხუმის“ სანდოობის ხარისხი მაღალია ოზურგეთში. ოზურგეთში პირველი გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა ამომრჩეველ ქალთა კლუბიდან დაიწყო. მახსოვს, წლების წინ, ერთმა ჩინოვნიკმა თქვა, პოლიტიკა ბეწვის ხიდია და მასზე ქალი ვერ გაივლისო. შეიძლება ითქვას, რომ ამ წლების განმავლობაში ჩვენ შევძელით მეტ-ნაკლებად შეგვეცვალა საზოგადოების (მათ შორის ხელისუფლების) ცნობიერება პოლიტიკაში ქალის მონაწილეობის კუთხით. მეტიც - ქალაქის საკრებულო ერთადერთი გენდერულად თანასწორი საკრებულოა საქართველოში.

ალექსანდრე გოგოძე, დამოუკიდებელი დეპუტატი: - გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებმა გავიარეთ ტრენინგი თემაზე „პროექტების წერა და დიზაინი, ფასილიტაციის უნარები“, რომელმაც ბევრი სიახლე და უნარ-ჩვევა შეგვძინა. მონაწილეობა მივიღეთ ქალაქის მერიის დაფინანსებულ ტრენინგში გენდერის თემატიკაზე. მართალია, დატვირთული დღის გრაფიკი გვაქვს, მაგრამ თუ არის შესაძლებლობა, ვესწრებით ტრენინგ-სემინარებს. მიმაჩნია, რაც მეტადაა განათლებული ხელისუფლების პირი, მით უფრო უიოლდება მოქალაქესთან ურთიერთობა.

გენადი მესხიძე, დამოუკიდებელი დეპუტატი: - ყველაზე მეტად რაც მომწონს, ისაა, რომ ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ბაზაზე შეიქმნა ახალგაზრდული გენდერული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც უნიჭიერესი თაობით, სხვადასხვა სკოლის რჩეული მოსწავლეებით დაკომპლექტდა. როცა მათ ვუსმენ და ვუყურებ, თეთრი შურით მშურს, რადგან ეს თაობა ბევრ რამეში ჩვენზე წინაა, ისინი თავისუფლად აზროვნებენ და მსჯელობენ. მე ბედნიერი ვარ, რომ ჩვენმა საბჭომ ასეთი აქტიური თაობა შემოიკრიბა.

„კიბო განაჩენი არ არის“- პროექტი ოზურგეთში

2015 წლის ივლისში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს პროექტის „კიბო განაჩენი არ არის“ პრეზენტაცია გაიმართა. პრეზენტაციას, რომელიც იდეის ავტორმა, საკრებულოს დეპუტატმა ლალი სიჭინავამ პირადი მაგალითის საფუძველზე წარმოადგინა, საბჭოს წევრებთან ერთად მუნიციპალიტეტების და მხარის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

პროექტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა 9 ათასი ლარით დააფინანსა. საბჭოს წევრებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 12 სოფლიდან 50-მდე ონკოლოგიური ავადმყოფი მოიძიეს, რომელთაც ფსიქოსარეაბილიტაციო კურსი ჩაუტარდებათ.

- უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე აქტიურ პოლიტიკაში ვარ. არასდროს მიფიქრია არასამთავრობო სექტორში მუშაობა, მაგრამ როცა ფონდმა „სოხუმმა“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭო და ამირჩიეს თავმჯდომარედ, ცოტა არ იყოს უნდობლობის მომენტი მქონდა საკუთარი თავის მიმართ, ვფიქრობდი, შევძლებდი კი ამ საქმეს. თუმცა საბჭოს წევრების და ფონდი „სოხუმის“ დახმარებით ყველა ბარიერი გადაილახა. ხელისუფლების მხარდაჭერით განვახორციელეთ რამდენიმე პროექტი. ქალაქისა და თემის მუნიციპალიტეტიც გვევლინება როგორც დამფინანსებლად, ისე თანადამფინანსებლად, - აღნიშნა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ლელა ნაცვალაძემ.

მისი თქმით, საბჭო ორივე მუნიციპალიტეტში ახორციელებს რამდენიმე პროექტს: „ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკისთვის“, „კიბო განაჩენი არ არის“, „ახალგაზრდები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“.

პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“ ყველაზე ჰუმანური პროექტია. ერთ-ერთი ავტორი, ეკა ნინიძე ამბობს, რომ პროექტი მომზადდა გენდერული საბჭოს მიერ: - იდეის ავტორმა ლალი სიჭინავამ თავად დაამარცხა ეს დაავადება. პროექტი ნამდვილად რეზონანსულია და აქტუალური. უამრავი ადამიანი ებრძვის ამ ვერაგ დაავადებას, ქიმიურ პრეპარატებთან ერთად მათ ესაჭიროებათ ფსიქოლოგიური დახმარებაც.

პაციენტები, რომლებიც იგებენ დიაგნოზს, ვარდებიან სასოწარკვეთაში, მათთვის ეს სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია. უმძიმეს მდგომარეობაში არიან მათი ოჯახის წევრებიც. გენდერული საბჭოს მწვრთნელებს დაეხმარებათ ფსიქოლოგი, რომელიც ბენეფიციარებს შეხვდება.

- თავიდან იყო ეჭვიც და რისკიც იმისა, რომ პაციენტები ამ იდეას უნდობლად შეხვდებოდნენ, თუმცა მოსამზადებელი სამუშაოს დროს ბენეფიციარების მხრიდან გამოჩნდა დიდი ინტერესი და სურვილი, მიიღონ ეს დახმარება. ასევე უნდა შეიქმნას ონკოპაციენტთა კლუბი, რომელსაც პირობითად დავარქვით: „ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ“. კლუბში მოეწყობა შეხვედრები და საღამოები ამ ადამიანების ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები, ვფიქრობ, დაეხმარება ამ ადამიანებს უმძიმესი სენის დამარცხებაში, - გვითხრა ეკა ნინიძემ.

პროექტის პრეზენტაციას გურიის გუბერნატორის მოადგილეები სოსო ერქომაიშვილი, ქეთი მოისწრაფეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე, მედიის, არასამთავრობო სექტორისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ლალი სიჭინავასგან წამოსული პოზიტივი არის პირდაპირი გზავნილი მათთვის, ვისაც განკურნების რწმენა დაკარგული აქვს. მივესალმები იმ დიდ საქმეს, რასაც გენდერული საკონსულტაციო საბჭო აკეთებს. მუნიციპალიტეტი მათი მხარდაჭერის საკითხში სხვებისთვის სამაგალითო იქნება,“ - აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა აუცილებელია, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ფინანსური მხარდაჭერაც. კარგია, რომ ერთმანეთს დავეხმარებით, - თქვა შეხვედრაზე მოსულმა ერთ-ერთმა ქალბატონმა, რომელმაც სახელისა და გვარის დასახელებისგან თავი შეიკავა.

ჩვენს კითხვებს პროექტის ავტორმა, ლალი სიჭინავამ უპასუხა. ლალი სიჭინავა არის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი, სოფელ ცხემლისხიდის საჯარო სკოლის დირექტორი და გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ლალი სიჭინავა: - 2013 წლის 19 მარტს, კონსულტაციის მიზნით, ვიყავი მამოლოგთან, რომელმაც მამცნო თავზარდამცემი ამბავი, რომ მქონდა მკერდის კიბო და აუცილებელი იყო ოპერაცია. არც კი ვიცი, როდის განვითარდა ჩემში, ის ხომ ნელა, შეუმჩნევლად და უმტკივნეულოდ იპყრობს ორგანიზმს. ვერ აღგიწერთ განცდას, რომელმაც იმ მომენტში თავში გამიელვა... თან მახლდა ჩემი ქალიშვილი

და მისმა სასოწარკვეთილმა ხმამ მომცა სიცოცხლისთვის ბრძოლის საოცარი სტიმული. ექიმის ოთახიდან მტკიცე, მებრძოლი სულით გამოვედი და ერთი წუთითაც არ დამიკარგავს გადარჩენის იმედი...

- რა გზა გაიარეთ?

- გავიკეთე რადიკალური ოპერაცია - მკერდის მოკვეთა, ქიმიოთერაპიის 6 კურსი TAC სქემით სამიზნე თერაპიის კურსი - პრეპარატ ჰერცეპტინი 440მგ-იანის 18 ინფუზია. ჩატარებული მაქვს და ახლაც სისტემატიურად ვიკეთებ სხვადასხვა დიაგნოსტიკურ გამოკვლევას და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში დღემდე გავდივარ ფსიქოთერაპიას.

- ფინანსურ მხარეზეც ვისაუბროთ.

- ძალიან, ძალიან ბევრი თანხაა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში ოპერაცია და ქიმიოთერაპია ფინანსდება, მაინც ვერ იტყვი ერთ კონკრეტულ თანხას, გააჩნია სირთულეს და რომელი ორგანოა დაავადებული.

ჩემს შემთხვევაში დავიწყებ იმით, რომ ოპერაცია გავიკეთე 2013 წლის 2 აპრილს. როგორც პედაგოგი, დაზღვეული ვიყავი სადაზღვევო კომპანია „ალფაში“, რომელმაც დაფინანსებაზე მითხრა უარი, რადგანაც მე ვიყავი კერძო კლინიკის, „მარდალეიშვილის კლინიკის“ პაციენტი. მათი მიდგომა იყო დამამცირებელი, ვიყავი თბილისში მთავარ ოფისში, ყოველგვარ ადამიანურ ეთიკას მოკლებული იყო მათი მიდგომა პაციენტებისადმი... ლოდინს აზრი არ ჰქონდა...

4000 ლარი - ოპერაცია. ოპერაციამდელი გამოკვლევები, ექიმების კონსულტაციები დაახლოებით 1000 ლარი, ოპერაციის შემდეგ დამჭირდა პრეპარატი ჰერცეპტინი, რომლის მაშინდელი ღირებულება იყო 4500 ლარი (ახლა მეტი ღირს). ეს მჭირდებოდა 18 ცალი 440 მგ-იანი ყოველ 21-ე დღეს. ამ პრეპარატს სახელმწიფო არ აფინანსებს. ამავდროულად საჭიროა სწორი, ჯანსაღი კვება, რომელიც ასევე ფინანსებთანაა დაკავშირებული.

მე ეს შევძელი, რადგან დამეხმარა ჩემი ოჯახი, მშობლები, დედმამიშვილები, ნათესავები, სოფელი, მეგობრები...

- როგორც ვიცი, კონსულტაციებს უწევთ იმათ, ვისაც ეს დაავადება აქვს.

- ფსიქოლოგიურად ვამხნევებ, საკუთარ განვლილ გზაზე ვესაუბრები, რომ არ შეშინდნენ. უნდა იცოდნენ, რომ ისინი საჭირონი არიან ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, საყვარელი ადამიანებისთვის, საზოგადოებისთვის. ხშირად ოჯახის წევრებს ვხვდები და ვუხსნი, როგორ მოიქცნენ, არ დაკარგონ იმედი - რწმენა გადარჩენის, იბრძოლონ...

- რატომ გადაწყვიტეთ ამ პროექტს ჩადგომოდით სათავეში?

- აღმოვაჩინე, რომ ჩემს გვერდით ამ სენით დაავადებულები (ქიმიოთერაპიის, სამიზნე თერაპიის მიმდინარეობისას, რომელსაც 3 საათი სჭირდებოდა) მშვიდად იყვნენ, უკეთესი მერმისის განწყობას ვუქმნიდი. ერთგვარად გადაედებოდათ ჩემგან მხიარულება და მეუბნებოდნენ, ნეტავი ჩვენთან ახლოს ცხოვრობდეო... მე საოცრად მიყვარს სიცოცხლე, მიყვარს მოყვასი... და, ვატყობ, რომ ეს ოპტიმისტური განწყობა გადამდებია...

მივხვდი, რომ ყველა სამედიცინო თერაპია საჭიროა, მაგრამ ასეთ ადამიანებს განსაკუთრებით სჭირდებათ ფსიქოთერაპია პირველივე წუთებიდან...

ბევრი ადამიანი მალავს დაავადებას, საკუთარ თავში იკეტება, აშინებს საზოგადოება, საშინელი ტკივილები, სხეულის დამახინჯება, თმის ცვენა, უფულობა...

სწორედ ამიტომ გვჭირდება ერთად დგომა და გამხნევება გზის გაკვლევაში, ფინანსების მოძიებაში. ერთად შევძლებთ ცხოვრების სტიმულის პოვნას. ეს ცხოვრების ერთი ეპიზოდია და მას გადავფურცლავთ. შევძლებთ, ადამიანებს ვაკეთებინოთ სიკეთე, დავანახებთ ამ პრობლემასთან პირისპირ მყოფებს, რაოდენ ძლიერები ვართ და ერთად შეუძლებელს შევძლებთ, სწორედ ეს არის პროექტის მიზანი...

ყველამ იცოდეს, რომ კიბო არ არის სასიკვდილო განაჩენი... მისი დამარცხება შეიძლება და მას ერთად დავამარცხებთ...

გიორგი გირკელიძე

„გურია NEWS“-ის ჟურნალისტი
სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

ამ სტატიით დაიწყება პროექტის
ინტერნეტ-გვერდი

ნია მექვაბიშვილი: „2015 წლის ბიუჯეტი სოციალურ საკითხებზეა ორიენტირებული“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მერაბ ჭანუყვაძის თანაშემწედ გენდერულ საკითხებში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი ნია მექვაბიშვილი დაინიშნა.

- 2015 წელს დაინიშნეთ გამგებლის თანაშემწედ გენდერულ საკითხებში. რა რჩევები მიეცით გამგებელს გენდერულ საკითხებთან მიმართებაში.

- გამგებელი ყოველთვის გამოხატავს პოზიტიურ დამოკიდებულებას გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მიმართ, სიღრმისეულად არის ინფორმირებული, რა მნიშვნელობა აქვს გენდერული კუთხით მუშაობას მუნიციპალიტეტში. განვიხილავთ პრობლემებს და ერთობლივად ვეძებთ გადაჭრის გზებს. საკონსულტაციო საბჭომ წარმოადგინა ახალგაზრდული პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მოზარდებში გენდერული ცნობიერების ამაღლებას. შევჯერდით, რომ მართლაც არის ამ თემის ირგვლივ ინფორმაციის ნაკლებობა, ამიტომაც პროექტი მხარდაჭერილ იქნა. ასევე დაფინანსდა პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“, რომელიც ონკოლოგიური პაციენტების ფსიქო-რეაბილიტაციას ითვალისწინებს. 2015 წლის ბიუჯეტი არის ნამდვილად გენდერულად მგრძნობიარე, სოციალურ საკითხებზე ორიენტირებული.

რაც შეეხება შემდგომ გეგმებს, მუნიციპალიტეტი აგრძელებს მუშაობას გენდერული პრობლემების გამოსავლენად. ვგეგმავ მოსახლეობასთან შეხვედრებს, დეტალურად გავაცნობ, რა კუთხით შეგვიძლია დახმარება. ძირითადად ვგულისხმობ ოჯახში ძალადობას, იძულებით ქორწინებას და ქალის როლის დაკნინებას საზოგადოებაში.

- გენდერული საკონსულტაციო საბჭო იწყებს ახალ პროექტს ახალგაზრდებისთვის. გვიამბეთ ამ პროექტის შესახებ.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და ფონდი „სოხუმის“ მიერ დაფინანსდა პროექტი „ახალგაზრდები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ“. პროექტს ახალგაზრდები დამოუკიდებლად განახორციელებენ. ჩაატარებენ შეხვედრებს ქალაქ ოზურგეთის ხუთ საჯარო სკოლაში მე-6-მე-8 კლასის მოსწავლეებთან. იქნება მოკლემეტრაჟიანი ფილმების ჩვენება, რომლებშიც გამოიკვეთება ძალადობისა და ნარკოტიკების მიმართ მოზარდების დამოკიდებულება. ასევე აჩვენებენ ვიდეორგოლებს, სადაც აქცენტი იქნება ჯანსაღი ცხოვრების წესსა და გენდერულად დაბალანსებულ ურთიერთობებზე საზოგადოებაში. ეს გამოიწვევს შედარებას, გაიმართება დისკუსიები. ოზურგეთის ჭადრების ბაღში მოეწყობა ფოტოგამოფენა „ჩემი თვალით დანახული გენდერი“. ბოლოს კი ახალგაზრდები დადგამენ მინი სპექტაკლს „გენდერული სტერეოტიპები საზოგადოებაში“.

- ამ პროექტს შარშან განხორციელებული პროექტი უძღოდა...

- შარშან წარმატებით განხორციელდა საბჭოს პირველი პროექტი „ახალგაზრდები გენდერული პოლიტიკის მხარდასაჭერად“. ამ პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა კრებული „საბაზისო ინფორმაციები გენდერზე“, საბჭოს წევრებმა გაიარეს მწვრთნელთა მოსამზადებელი ტრენინგი, შემდეგ კი 30-მდე ვორკშოპი ჩატარდა ქალაქის სკოლების უფროსკლასელებთან გენდერულ და ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ თემებზე.

პროექტის ბოლოს ოზურგეთის საკრებულოს დარბაზში გაიმართა ფორუმი „გენდერის კულტურა“. პროექტის შედეგად ოზურგეთში ჩამოყალიბდა ახალგაზრდული საკრებულო და გენდერული საკონსულტაციო საბჭო.

ახალგაზრდული საკრებულო თვეში ერთხელ ატარებს სხდომას. იკრიბებიან და განიხილავენ ქალაქში არსებულ პრობლემებს. მათ ჰქონდათ სურვილი, ქალაქ ოზურგეთში გაკეთდეს „სკეიტ-პარკი“. შეაგროვეს თანამოაზრეთა ხელმოწერები, განცხადებით მიმართეს ქალაქის მერიას. კიდევ ბევრი იდეა აქვთ...

გიორგი გირკელიძე
გაზეთ „გურია NEWS“-ის კორესპონდენტი
სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ - 7000 ეგზემპლარი. მას აქვს თავისი განყოფილებები გურიის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში (ჩოხატაური, ლანჩხუთი, ოზურგეთი) და თბილისში. ვებ-გვერდს www.gurianews 7888 ხელმომწერი ჰყავს.

შეხვედრები იურისტთან, ადვოკატირება, პრობლემების მოგვარება

საინფორმაციო შეხვედრები ოზურგეთში, სენაკსა და ქუთაისში ტარდება თვეში ერთხელ - ადგილობრივ თუ დევნილ ადამიანებთან, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანია მოსახლეობის ინფორმირება სხვადასხვა სამართლებრივ ნორმასა თუ კანონთან დაკავშირებით.

მონაწილეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, იურისტები ამზადებენ სხვადასხვა თემას და იმართება საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა. ხშირია ინდივიდუალური კონსულტაციის გაცემაც.

ამას გარდა, ხდება პრობლემების ლობირება და ადვოკატირება შესაბამის სტრუქტურებთან, ინდივიდუალური თუ კოლექტიური განცხადებების მომზადება და გაგზავნა.

ია კვარაცხელია, ფონდი „სოხუმის“ იურისტი:

საინფორმაციო შეხვედრები სენაკსა და ქუთაისში სისტემატურად ტარდება. ბოლო წლის განმავლობაში მოხდა ინდივიდუალური და კოლექტიური პრობლემების ადვოკატირება და მოგვარება.

სენაკის საჯარო ბიბლიოთეკაში ერთ-ერთი შეხვედრის დროს თანამშრომლებმა აღნიშნეს, რომ მათ ჰქონდათ სველი წერტილის პრობლემა. აღნიშნული საკითხი დავსვით სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე. მოწვეულ იქნა სამსახურები, რომელთაც ევალებათ ამ საკითხის მოგვარება. ერთობლივი ძალისხმევით პრობლემა მოგვარდა.

კონსულტაციისათვის მოგვმართა აფხაზეთიდან დევნილმა ქალბატონმა. მას არა აქვს საცხოვრებელი სახლი, არც ქირის გადახდის საშუალება გააჩნია. მოვამზადეთ განცხადება დევნილთა და განსახლების სამინისტროს სახელზე. ამჟამად სამინისტრო უხდის ბინის ქირას, ახლო მომავალში კი ელოდება ბინით დაკმაყოფილებას.

თამაზ ტრაპაიძე, ფონდი „სოხუმის“ იურისტი, საქართველოს იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ფილიალის ხელმძღვანელი:

იურიდიული კონსულტაციები, ძირითადად, სოციალურ საკითხებზე გაიცა. რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც გამოიწვევდა საქმის აღებას და სასამართლოში მათი ინტერესების დაცვას, არ ყოფილა. თუმცა 8 პირს მოვუმზადე სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი, განცხადება, სარჩელი სასამართლოში წარსადგენად.

ოზურგეთის ქუჩებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლების მცხოვრებლებთან შეხვედრებისას წამოჭრილ პრობლემებზე მომზადდა და შესაბამის უწყებებში გაიგზავნა 6 განცხადება, თითოეულ განცხადებაში იყო რამდენიმე მოთხოვნა, რომლებიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო აქტივობის შედეგები ასეთია: 26 მაისის ქუჩის პირველ შესახვევში მოეწყო გარეგანათება. წუწუნავას ქუჩაზე, გარეგანათებასთან ერთად, გაკეთდა ნაპირსამაგრი სამუშაო და შეკეთდა გზა. დაბა ნასაკირალში, მესხების დასახლებაშიც მოხდა გზის საფარის რეაბილიტაცია, ჩანჩიბაძის ქუჩაზე კი გაიყვანეს წყლის მილები.

ქუთაისი, ოზურგეთი, სენაკი - გენდერული პოლიტიკა ჟურნალისტების თვალით

ჟურნალისტები - ადამიანები, რომელთა გარეშე მუშაობა უსახურია, არაეფექტური, ნაკლებრეზონანსული...

ორი წელია, ჟურნალისტები აქტიურად თანამშრომლობენ ჩვენი პროექტის ფარგლებში...

ორი წლის მანძილზე ჩვენ ვგრძნობთ დიდ ინტერესს, მხარდაჭერას, ცვლილებებს, მეტ გავლენას მკითხველზე, მსმენელსა და მაყურებელზე...

ყველა გამოცემას, სადაც ერთი ინფორმაცია მაინც მოხვდა ჩვენი მუშაობის შესახებ, ყველა რადიო თუ სატელევიზიო კომპანიას, რომელმაც ერთი სიუჟეტი მაინც გაუშვა - დიდი მადლობა!

თათია სამსონიძე
„გურია TV“
ჟურნალისტი

გენდერული საბჭოს შესახებ ჩემი მეგობრებისგან გავიგე. შემდეგ მეც მივიღე მონაწილეობა ჟურნალისტებთან შეხვედრაში და გავაშუქე. ახლა ყველა შეხვედრას ვესწრები. ვაკეთებ სიუჟეტებს - აქედან გამომდინარე, მჭირდება ინფორმაცია და ვიღებ კიდეც საბჭოს წევრებისგან. ვხვდები იმ ადამიანებსაც, რომლებიც თანამშრომლობენ გენდერულ საბჭოსთან. რეგულარულად ვესწრები საბჭოს სხდომებს და საქმის კურსში ვარ, რა სიახლეები აქვთ, რა წარმატებები, რა გეგმები.

ჩემი აზრით, გენდერული საბჭო კარგი საშუალებაა თანასწორობის ხელშეწყობისათვის. რაც უფრო მეტი ქალი იქნება გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, მით უფრო მეტად გვექნება სასიკეთო შედეგები. გენდერული კუთხით სხვა რეგიონებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ოზურგეთში, მაგრამ სამუშაო მაინც ბევრია. საბჭოს წევრები ახერხებენ, საკრებულოს მხარდაჭერა მოიპოვონ, პროექტებზე იმუშაონ და გენდერული თემატიკა უფრო პრიორიტეტული გახადონ.

გენდერულმა საბჭომ საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა. ანგარიშგასაწევი ძალაა და ანგარიშგასაწევი ადამიანები ჰყავს. კონკრეტული შედეგია ის, რომ საბჭოს წევრი ნია მექვაბიშვილი დაინიშნა გამგებლის მრჩევლად გენდერულ საკითხებში. ეს მიმართულება საქართველოში ახალია და, შესაბამისად, კადრების დეფიციტია. წევრების სახით საბჭოს ჰყავს პროფესიონალები. ნებისმიერ მათგანს შეუძლია წარმატებული მუშაობა და მივესალმები იმას, რომ საბჭოს მიერ მომზადებული კადრი კარგად გამოიყენა ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

საბჭოს ყველა ინიციატივა აისახა ჩვენს მიერ მომზადებულ სიუჟეტებში: საბჭოს წევრების შეხვედრები, კვლევები, მემორანდუმების გაფორმება, პროექტების პრეზენტაცია თუ ახალგაზრდული ფორუმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჟურნალისტებთან ჩატარებული შეხვედრები, სადაც მათ მიეწოდებათ ინფორმაცია საბჭოს მუშაობაზე. ეს ყველაფერი გვეხმარება, წინა პლანზე წამოვწიოთ გენდერული თემები და ამ კუთხით მოვახდინოთ საზოგადოების ყურადღების კონცენტრირება.

გენდერული საბჭო არის ფონდი „სოხუმის“ სერიოზული პროექტი, რომლის შედეგები ხვალ-ზეგ უფრო გამოჩნდება. შეიძლება შეიცვალოს პოლიტიკური სიტუაცია, შეიცვალონ კონკრეტული ადამიანები გარკვეულ თანამდებობებზე, მაგრამ საბჭოს აქვს რეალური საშუალება, ითანამშრომლოს ყველასთან და მოიპოვოს თანხები გენდერული პრობლემების გადასაჭრელად, რადგან ეს თემა ყველა პოლიტიკური ძალისთვის იქნება პრიორიტეტული.

მედიას დიდი როლი ეკისრება გენდერული თანასწორობის დამკვიდრებაში. სტერეოტიპები ყველაზე მეტად გენდერული მიმართულებით არსებობს, მაგრამ მარტო მედია ვერ დაამსხვრევს მათ. როგორი ფორმითაც არ უნდა ხდებოდეს ინფორმირება, ერთჯერადი

გადაცემები ვერ შეცვლის საერთო სურათს. თუმცა ერთობლივი ძალისხმევით ბევრად მეტი შედეგი მიიღწევა.

მე გენდერულად მგრძნობიარე ადამიანი ვიყავი ყოველთვის. გენდერს რაც ეხება, მაშინვე ვამჩნევ, ვგრძნობ, მაგრამ ბოლო დროს ჩემი გენდერული ალღო, ინტუიცია უფრო დაიხვეწა.

ნანა ჯიბლაძე
ტელეკომპანია „ეგრისის“ ჟურნალისტი

დღეს მოსახლეობა მეტადაა ინფორმირებული, ვიდრე წინა წლებში, მეტი იცის გენდერული საკითხების შესახებ. ამაში არის ფონდი „სოხუმის“ წვლილიც - სწორედ მისი საქმიანობა უწყობს ხელს ამ საკითხის პოპულარიზაციას, გენდერული ცნობიერების ამაღლებას. სენაკში მოქმედებს ფონდის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი, გენდერული საკონსულტაციო საბჭო, ამომრჩეველ ქალთა კლუბი. ტარდება საინფორმაციო შეხვედრები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, ახალგაზრდებთან, ფსიქოლოგის და იურისტის კონსულტაციები, შეხვედრები ჟურნალისტებთან...

მე კარგად ვიცნობ ფონდი „სოხუმის“ საქმიანობას და ძალიან მომწონს. ვთანამშრომლობ ამ ორგანიზაციასთან, ვარ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი, ვესწრები შეხვედრებს, ბევრ ინფორმაციას ვღებულობ. ადვოკატირების პროცესშიც ვიყავი ჩართული - მე თავად ვხელმძღვანელობდი. ჩვენი ქუჩის სახელით დაიწერა განცხადება. პრობლემა იყო მოშლილი სანიაღვრე სისტემა, რაც წვიმიანი ამინდის დროს დისკომფორტს უქმნიდა მოსახლეობას. კლუბის და გენდერული საბჭოს დახმარებით სანიაღვრე სისტემა გაიწმინდა. ჩემთვის ეს განსაკუთრებით სასიამოვნო იყო.

„ეგრისი“ ხშირად აშუქებს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობას. გენდერული საბჭოს ორიენტირია გენდერული თანასწორობა, რადგან საზოგადოებაში არის პრობლემები ამ კუთხით და მუშაობაც საჭიროა.

ჩვენს ეთერში გავიდა სიუჟეტები საბჭოს მიერ ჩატარებულ კვლევაზე, მოსახლეობის გენდერულ საჭიროებებზე, ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია საბჭოს მიერ განხორციელებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც სკოლამდელ დაწესებულებებში ჩატარდა ვორკშოპები. მაქვს სურვილი, რომ ამგვარი მუშაობა შემდგომშიც გაგრძელდეს.

ვიცი, რომ ფონდი „სოხუმი“ სხვადასხვა რეგიონში ნაყოფიერად მუშაობს. მინდა, რომ კიდევ უფრო მეტი აქტიურობა იყოს სენაკში, უფრო დაინტერესდეს მოსახლეობა და ადგილობრივ დონეზე მეტი პრობლემის მოგვარება გახდეს შესაძლებელი. ჩვენ, ჟურნალისტებს, ხშირი შეხვედრები გვაქვს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან. ვხედავთ, რომ სოციალური ფონი არ არის სახარბიელო, ბევრი პრობლემაა ქალაქში. დევნილები, სოციალურად დაუცველი ადამიანები შუამავლობას და დახმარებას გვთხოვენ. მედია აშუქებს ამ პრობლემებს, ვთანამშრომლობთ ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან...

საკეთებელი ბევრია და ჟურნალისტებიც აქტიურად ვართ ჩართულები. ვცდილობთ, ჩვენს მასალებში დაისვას სოციალური და გენდერული აქცენტები.

დეა მანაგაძე
„ქუთაისიპოსტის“ ჟურნალისტი

ყოველთვის ვესწრები ჟურნალისტებთან საინფორმაციო შეხვედრებს ფონდ „სოხუმში“ თუ გენდერის მედია ცენტრში. ამ შეხვედრებიდან ვიგებ არა მარტო ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შესახებ. ვიცი, რომ საბჭოები არის სენაკსა და ოზურგეთშიც და მაქვს ინფორმაცია მათ საქმიანობაზეც. ხშირად ვესწრები საკრებულოს სხდომებს, სადაც მესმის გენდერული საბჭოს მიერ ინიცირებულ საკითხებზეც.

ქუთაისი, ოზურგეთი, სენაკი - გენდერული პოლიტიკა ჟურნალისტების თვალით

საბჭო ეფექტურად მუშაობს. მეტის გაკეთებაც შეიძლება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ რესურსებს, დროს, გარეშე ფაქტორებს და იმას, რომ ყველაფერი ერთბაშად არ იქნება, ნელ-ნელა საბჭოს მუშაობაც დაიხვეწება, მაგრამ ამ ეტაპზე რაც არის გაკეთებული, საკმაოდ კარგია.

გვახსოვს პერიოდი, როცა „გენდერის“ მნიშვნელობა არც იცოდა საზოგადოებამ და ეს სიტყვა შიშთან, ფობიებთან ასოცირდებობდა. ახლა ასეთი მიდგომა შეიცვალა. ადგილობრივი თვითმმართველობაც ცდილობს გაითვალისწინოს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციები. იმართება კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ჟურნალისტებს გვაქვს შესაძლებლობა, დავესწროთ და გავაშუქოთ ეს შეხვედრები. მაგალითად, საბჭოს წარდგენით მოხდა პანდუსების დამონტაჟება.

ჩემთვის საინტერესო და სასარგებლოა საბჭოს მუშაობა. ვცდილობ, ქალთა საჭიროებების და გენდერის კუთხით შევხედო ნებისმიერ თემას, როცა წინათ საერთოდ არ ვაქცევდი ყურადღებას.

მე ვმუშაობ ეკონომიკურ, ქონების საკითხებზე. თუმცა ხშირად ვწერ დევნილთა, სოციალურად დაუცველთა და სხვა ჯგუფების აქტუალურ პრობლემებზეც. გავაკეთე სიუჟეტი ქალზე, რომელსაც გადაადგილება არ შეეძლო. სიუჟეტის შემდეგ მას მადლიერების სახლიდან დაენიშნა ულუფა სახლში მიტანით.

საინფორმაციო საშუალებებს ძალიან დიდი როლი აქვთ. მასმედია არის მე-4 ხელისუფლება და უკვე საზოგადოება ძალიან არის დამოკიდებული იმაზე, თუ რას გააშუქებს მედია. ამიტომ ჟურნალისტების პასუხისმგებლობა დიდია. გადაუმოწმებელმა და არაობიექტურმა ინფორმაციამ შეიძლება უკუეფექტი მოიტანოს. ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ ინფორმირებულები და განათლებულები, რომ ჩვენს მიერ მომზადებულ სიუჟეტებში აისახოს ობიექტური ინფორმაცია, არ დავარღვიოთ ჟურნალისტიკის ეთიკის პრინციპები. ძალადობა და დისკრიმინაცია ისეთი სენსიტიური საკითხებია, რომ მათი დილეტანტურად გაშუქება დამამძიმებელია საზოგადოებისთვის. ფონდ „სოხუმში“ ჩატარებული შეხვედრის შემდეგ მოვამზადე მასალა მრავალშვილიან ქალბატონზე, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი და ცხოვრობს თავშესაფარში. გვქონდა ასევე მასალა ბავშვთა ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრზე... ვცდილობ, მივაწოდო ინფორმაცია ქალებს, როგორ დაიცვან თავინთი უფლებები, როგორ იცავთ მათ ქართული კანონმდებლობა და რა უნდა გააკეთონ ძალადობის შემთხვევაში.

ჟურნალისტებისთვის ბევრი სამუშაოა გენდერული კუთხით და ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობა ამ საქმეში ძალიან სასარგებლო და ნაყოფიერია.

მასალები გენდერულ თემებზე და ინფორმაცია გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შესახებ დაიბეჭდა სხვადასხვა ბეჭდვით და ინტერნეტ-გამოცემაში.

„ახალი გაზეთი“, „ქუთაისი პოსტი“, „P.S.“ (ქუთაისი), „კოლხეთი“ (სენაკი), „ალიონი“, „გურია ნიუსი“, „გურიის რეგიონი“, „გურიის მოამბე“ (ოზურგეთი).

გეგმით გათვალისწინებული იყო 4 გადაცემის გაშვება - 2 „რიონის“ ეთერით (ქუთაისი) და თითო-თითო - „გურია TV-სა“ (ოზურგეთი) და „ეგრისში“ (სენაკი).

ამ ტელეკომპანიების ჟურნალისტებმა დამატებით 30-ზე მეტი სიუჟეტი მოამზადეს, მათი დიდი უმეტესობა „რიონისთვის“.

10-მდე სიუჟეტი გავიდა „მეგა TV“-ზე (ქუთაისი). გადაცემები და სიუჟეტები მოამზადეს რადიო „ძველი ქალაქისა“ და „თავისუფლების“ ჟურნალისტებმაც.

მედია ჩვენი ერთგული და ეფექტური პარტნიორია.

ქუთაისი

სენაკი

ოზურგეთი

www.gac.fsokhumi.ge